N გ-25-03/213
06/02/2025

213-გ-25-03-2-202502061514

შპს „ვიფიშერს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2025 წლის 13 თებერვალს, 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მოსამზადებელი სხდომა (კომისიის სხდომის სამუშაო დრო - 21:00 საათამდე) შპს „ვიფიშერთან“ ურთიერთჩართვის შეჩერების თაობაზე სს ,,სილქნეტის“ განცხადების (Nშ-25-6/421, 04.02.25) წარმოებაში მიღებისა და დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

1. სს „სილქნეტის“ განცხადება (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-25-6/421, თარიღი: 4.02.25) თანდართულ მასალასთან ერთად: სს „სილქნეტსა“ და შპს „ვიფიშერს” შორის 2021 წლის 21 იანვარს გაფორმებული „სს „სილქნეტის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვისთვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) დასრულების მომსახურების შესახებ“ N21-049 ხელშეკრულება; ,,სს „სილქნეტის“ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაზე, ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS)

დასრულების მომსახურების შესახებ“ 2021 წლის 21 იანვრის დამატებითი შეთანხმება; ,,სს „სილქნეტის“ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაზე, ,,ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) დასრულების მომსახურების შესახებ“ 2023 წლის 31 მარტის N21-049/1 დამატებითი შეთანხმება; 2020 წლის სს „სილქნეტის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვისთვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა); ურთიერთშედარების აქტი 2024 წლის დეკემბრის თვეში სს ,,სილქნეტის“ მიერ შპს ,,ვიფიშერისთვის“ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობის შესახებ; სს „სილქნეტისა“ და შპს „ვიფიშერის” შესახებ მონაცემები კომისიის უწყებრივი რეესტრიდან და საჯარო რეესტრის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი